



**სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი**  
**ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური**

**სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში**  
**სტუდენტთა მობილობის ფარგლებში გადმოსულ და აღდგენილ სტუდენტთა კრედიტების**  
**აღიარების წესი**

**დამტკიცებულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2017 წლის 16 ოქტომბერს**  
**(დადგენილება N17/2)**

**მუხლი 1. კრედიტების აღიარების პრინციპები**

სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდგომში: უნივერსიტეტი) საქართველოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან (შემდგომში: პირველადი უსდ) მობილობის, შიდა მობილობის ფარგლებში გადმოსული ან აღდგენილი სტუდენტების (შემდგომში: სტუდენტი) კრედიტების აღიარება ექვემდებარება შემდეგ პრინციპებს:

1. ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ საკრედიტო სისტემასთან (ECTS) შესაბამისობა; 2. სტუდენტის მიერ არჩეულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან შესაბამისობა და თავსებადობა; 3. საუნივერსიტეტო კურიკულუმთან შესაბამისობა და თავსებადობა (ეს ეხება ე. წ. თავისუფალ კრედიტებს); 4. სხვა საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსებთან შესაბამისობა და თავსებადობა (ეს ეხება ე. წ. სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოპოვებულ თავისუფალ კრედიტებს).

**მუხლი 2. კრედიტების აღიარების პროცედურა**

1. თითოეულ ფაკულტეტზე, დეკანის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით, ერთი წლის ვადით იქმნება კრედიტების აღიარების საფაკულტეტო კომისია (შემდგომში: კომისია) ან კომისიები (ფაკულტეტის სპეციფიკიდან გამომდინარე), რომელშიც შედიან:

ა) საგანმანათლებლო პროგრამის/მიმართულების ხელმძღვანელი/კოორდინატორი და/ან მის მიერ რეკომენდებული პირი/პირები (აკადემიური პერსონალი, მასწავლებელი ან ხელშეკრულებით მოწვეული, შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაციის მქონე პირი - საჭიროების შემთხვევაში); ბ) ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი/ წარმომადგენლები; გ) ფაკულტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის სხვა წარმომადგენლები ფაკულტეტის დეკანის გადაწყვეტილებით.

2. კომისია იკრიბება საჭიროებისამებრ და უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, თუ სხდომას ესწრება კომისიის შემადგენლობის ნახევარზე მეტი. კომისიის სხდომას წარმართავს თავმჯდომარე. კრედიტების აღიარების თაობაზე გადაწყვეტილება მიიღება სხდომის მონაწილეების ხმათა უმრავლესობით.

3. კომისიის თითოეული სხდომა აისახება ოქმში. მდივანი ადგენს კომისიის დღის წესრიგს და სხდომის ოქმს, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, კომისიის წევრები და მდივანი.

4. კომისიის დასკვნას ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, კომისიის წევრები და მდივანი (იხ. ფორმა 1). კომისიის დასკვნის საფუძველზე ფაკულტეტის დეკანი უნივერსიტეტის რექტორის სახელზე ამზადებს წარდგინებას კრედიტების აღიარების თაობაზე.

5. კომისიის საქმიანობასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხების მოგვარება და სტუდენტთა კრედიტების აღიარებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მომზადება ევალება ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

6. სტუდენტის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში (სასწავლო ბარათი, ცნობა ან სხვა დოკუმენტი) სასწავლო კურსის სახელწოდება მითითებული უნდა იყოს სრულყოფილად და გარკვევით და უნდა იყოს სათანადო წესით დამოწმებული. მითითებული უნდა იყოს ის კონკრეტული უცხოური ენა, რომელიც გავლილი აქვს სტუდენტს.

7. თუ სტუდენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არასრულია ან არ ითვალისწინებს ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს, კომისია უფლებამოსილია, სტუდენტს არ უღიაროს კრედიტები.

8. უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებულ საგანმანათლებლო პროგრამებთან სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობის დადგენისას აღიარებადია:

ა) სავალდებულო, არჩევითი და თავისუფალი კრედიტები (თავისუფალ კრედიტად შეიძლება აღიარებულ იქნას ის სასწავლო კურსი, რომლის შესაბამისი სასწავლო კურსი გათვალისწინებულია უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამებით);

ბ) სასწავლო კურსის მიზნებიდან და შედეგებიდან გამომდინარე, დასაშვებია იმ სასწავლო კურსის კრედიტების აღიარება, რომელიც არ არის გათვალისწინებული მიმღები დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამით.

9. საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, თავისუფალ კრედიტებად ასაღიარებელი სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობის გადამეტების შემთხვევაში, კომისია ირჩევს იმ სასწავლო კურსებს, რომლებშიც სტუდენტს ყველაზე მაღალი შეფასებები

აქვს მიღებული. სტუდენტის მოთხოვნის საფუძველზე, შესაძლებელია, აღიარებულ იქნას არა უმაღლესი შეფასებების მქონე, არამედ სტუდენტის მიერ გავლილი სხვა სასწავლო კურსი/კურსები გადმოყვანის წესით სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ რექტორის სამართლებრივი აქტის პროექტის სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში გაგზავნამდე.

10. სტუდენტს შესაძლებელია, გაეწიოს რეკომენდაცია, თუ რომელ დამატებით (ე. წ. minor) საბაკალავრო პროგრამას (არსებობის შემთხვევაში) შეესაბამება მისი ე. წ. თავისუფალი კრედიტები.

მუხლი 3. კრედიტების აღიარების წესი

1. სასწავლო კურსების კრედიტების აღიარება ხდება სწავლის მიზნებიდან და შედეგებიდან გამომდინარე, სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსების სილაბუსების ანალიზის შედეგად (საჭიროების შემთხვევაში).

2. კომისია უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში სტუდენტს მოსთხოვოს მის მიერ გავლილი სასწავლო კურსების სილაბუსები. ეს მოთხოვნა არ ვრცელდება აღდგენილ სტუდენტებზე.

3. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტები, რომელთა საფუძველზეც განხორციელდა კვალიფიკაციის მინიჭება, არ შეიძლება აღიარებულ იქნას სხვა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისთვის.

4. თუ სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსის დასახელება და კრედიტების რაოდენობა ემთხვევა უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო კურსის დასახელებასა და კრედიტების რაოდენობას, მაშინ ამ სასწავლო კურსის აღიარება ხდება ავტომატურად.

5. თუ სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა აღემატება უნივერსიტეტის შესაბამისი სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობას, მაშინ ხდება იმდენი კრედიტის აღიარება, რამდენსაც ითვალისწინებს უნივერსიტეტის მოქმედი კურიკულუმი.

6. თუ სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსის კრედიტები ნაკლებია უნივერსიტეტის შესაბამისი საგნის კრედიტებზე, მაშინ ამ სასწავლო კურსის აღიარების საკითხს წყვეტს კომისია სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის მიზნებისა და შედეგების ანალიზის საფუძველზე. აღნიშნული სასწავლო კურსის აღიარების შემთხვევაში, კომისია სტუდენტს კრედიტებს უღიარებს იმ რაოდენობით, რა რაოდენობითაც მას ეს საგანი გავლილი აქვს პირველად უსდ–ში.

7. შინაარსობრივი შესწავლის შედეგად შესაძლებელია დადგინდეს სტუდენტის მიერ გავლილი და უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შესაბამისობა, მათ სახელწოდებებში არსებული განსხვავების მიუხედავად.

8. თუ სტუდენტს გავლილი აქვს მეორე უცხოური და/ან კლასიკური ენა, კომისიის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია, მეორე უცხოური და/ან კლასიკური ენის კრედიტები აღიარებულ იქნას ე. წ. თავისუფალ კრედიტებად.

9. უნივერსიტეტი უფლებამოსილია, კანონმდებლობით დადგენილი წესით გაიანგარიშოს სტუდენტის დატვირთვა კრედიტებით იმ საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში,

რომელიც არ არის შესრულებული ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად.

10. შეფასების 5 ბალიანი სისტემის 100 ქულიან სისტემაზე გადაყვანა ხდება შემდეგი პრინციპით:

ფრიადი	91 ქულა	A
კარგი	84 ქულა	B
დამაკმაყოფილებელი	69 ქულა	D

11. ე.წ. არადიფერენცირებული “ჩათვლის” აღიარება ხდება შემდეგნაირად: ე. წ. არადიფერენცირებულ “ჩათვლას” ენიჭება პირობითი ქულა: სტუდენტის მიერ ყველა საგანში მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკული (მთელ რიცხვამდე დამრგვალებული).

12. თუ სტუდენტის პირველადი უსდ იყენებს ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული საკრედიტო სისტემისაგან განსხვავებულ საკრედიტო სისტემას, სტუდენტი ვალდებულია წარმოადგინოს პირველადი უსდ–ს მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც განმარტავს მის შესაბამისობას ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ საკრედიტო სისტემასთან.

13. თუ სტუდენტის პირველად უსდ–ს არ გააჩნია სასწავლო კურსებისთვის კრედიტების მინიჭების სისტემა, მაშინ სტუდენტი ვალდებულია, წარმოადგინოს პირველადი უსდ–ს მიერ გაცემული სასწავლო ბარათი (ოფიციალური დოკუმენტი), რომელშიც მითითებული იქნება: თითოეული სასწავლო კურსის მოცულობა (რამდენი კვირის მანძილზე სწავლობდა სტუდენტი ამ სასწავლო კურსს და კვირაში რამდენი საათი ეთმობოდა მას). აღნიშნული კურსებისთვის ხდება პირობითი კრედიტების მინიჭება შემდეგი სისტემის მიხედვით: თითოეული სასწავლო კურსის საკონტაქტო საათებს ემატება დამოუკიდებელი მუშაობის საათები (საკონტაქტო საათების გამრავლებით კომისიის მიერ დადგენილ კოეფიციენტზე: 1,5–ზე ან სხვა ციფრზე) სასწავლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, ხოლო საათების მიღებული რაოდენობა იყოფა 25–ზე, ანუ 1 კრედიტის საათების რაოდენობაზე. აღნიშნული წესით დაანგარიშებული არამთელი კრედიტები დამრგვალდება მთელ რიცხვამდე.

14. აღდგენილი სტუდენტების მიერ გავლილი სასწავლო კურსებისთვის კრედიტების მინიჭება ხდება აღნიშნული დოკუმენტის 3 მუხლის მე-13 პუნქტში მოცემული წესის მიხედვით.

15. აღდგენილი სტუდენტების მიერ გავლილი სასწავლო კურსების შეფასების 5 ქულიანი სისტემის 100 ქულიან სისტემაზე გადაყვანა ხდება აღნიშნული დოკუმენტის 3 მუხლის მე-9, მე-10 და მე-11 პუნქტებში მოცემული წესის მიხედვით.

16. სტუდენტების კრედიტების აღიარებასთან დაკავშირებულ საჩივრებს განიხილავს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს და წარუდგენს კომისიას.

მუხლი 4. სემესტრის განსაზღვრა აღიარებული კრედიტების მიხედვით

ა) აღიარებული კრედიტების რაოდენობიდან გამომდინარე, სტუდენტს ეძლევა რეკომენდაცია, სწავლა განაგრძოს შესაბამისი სემესტრიდან შემდეგი სქემის მიხედვით:

აღიარებული კრედიტი	შესაბამისი სემესტრი
0 - 19	I სემესტრი
20 - 49	II სემესტრი
50 - 79	III სემესტრი
80 - 109	IV სემესტრი
110 - 139	V სემესტრი
140 - 169	VI სემესტრი
170 - 199	VII სემესტრი
200 - 240	VIII სემესტრი

ბ) „ნულოვანი კრედიტი“ - უნივერსიტეტში ხელოვნების მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამებზე/კონცენტრაციებზე სტუდენტების გადაყვანის წესით ჩარიცხვისათვის აუცილებელ პირობად განისაზღვროს სტუდენტის მიერ საუნივერსიტეტო მისაღები გამოცდის (შემოქმედებითი ტურის) გავლა, რაც წარმოაჩენს მის შემოქმედებით პოტენციალს. სტუდენტის წინაშე წაყენებულ იქნას იგივე მოთხოვნები, რაც წაყენება აბიტურიენტს. არჩეული სპეციალობისათვის აუცილებელი მონაცემების გამოვლენის (საშემსრულებლო-შემოქმედებითი უნარები) შემთხვევაში, შემოქმედებითი ტურის წარმატებით გავლის შემდგომ, სტუდენტმა, მიუხედავად მის მიერ სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში დაგროვილი კრედიტების რაოდენობისა, უნივერსიტეტის საშემსრულებლო-შემოქმედებითი ხელოვნების საგანმანათლებლო პროგრამების ძირითად, სავალდებულო მოდულზე (“ხელოვნების (შესაბამისი დარგის“ ოსტატობის“ მოდული) სწავლა დაიწყოს ნულოვანი კრედიტით, ანუ პირველი სემესტრიდან (გამონაკლისს შეიძლება წარმოადგენდეს ანალოგიური პროფილის სხვა უმაღლესი სასწავლებლის იდენტური სპეციალობიდან გადმოსული სტუდენტი). გ) სტუდენტის მიერ სხვა სასწავლო კურსებში მოპოვებული კრედიტების აღიარება მოხდეს აღნიშნული წესის 2 და 3 მუხლებში წარმოდგენილი პროცედურების შესაბამისად.